**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# არშუშა, ქართლის პიტიახში V ს.

არშუშა, ქართლის პიტიახში V ს. 20–50-იან წლებში. ვარსქენ პიტიახშის მამა. იაკობ ცურტაველის (V ს. II ნახ.) ცნობით, იგი იყო ეკლესიების მაშენებელი და ქრისტიანობის მფარველი, სომეხი ისტორიკოსი კორიუნი (V ს.) მას უწოდებს „პატიოსან და ღმრთისმოყვარე კაცს“, რ-იც ამასთანავე ქართ. კულტ. თავდადებული მოღვაწე ყოფილა. ლაზარ ფარპეცის (V ს. II ნახ.) ცნობით, იგი იყო „ჭკვიანი და გამომრჩეველი კაცი“, მშობლიური კულტ., ქრისტ. ეკლესიის მოამაგე. დაახლ. 450, ამიერკავკასიაში მაზდეანობა რომ გაევრცელებინათ, **ა.** ქართლის, სომხ. და ალბ. დიდებულებთან ერთად ირანში შაჰ იეზდიგერდ II-ის კარზე გაიწვიეს. აქ მისი რჩევით ამ სამი ქვეყნის თავკაცებმა ფორმალურად უარყვეს ქრისტიანობა და აღიარეს მაზდეანობა, რათა თავიანთი ქვეყნები აოხრებისაგან ეხსნათ. ამის შემდეგ შაჰმა ა. ერთხანს მძევლად დაიტოვა.

როგორც ჩანს, **ა.** თანაუგრძნობდა სომხ. 450–451 აჯანყებას. მის კარზე თავი შეაფარეს და კარგი განათლება მიიღეს მისი ქვისლის, აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ჰმაიაკ მამიკონიანის ვაჟიშვილებმა.

*ლიტ.*: ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

***ა. ბოგვერაძე***